



შპს ექვთიამ თაყაიშვილის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის
სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
2017 წლის 27 მაისი N9 გადაწყვეტილებით, ოქმი N5.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.
2. წესის მიზანია უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველის, სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისთვის მისი ერთიანობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
3. წესის დანიშნულებაა, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და კონკურსანტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება სასწავლო უნივერსიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2 . აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადები .

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული წესით ;
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ სამი დღისა და არაუმცირანეს ერთი კვირის ვადაში.
3. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო სივრცესა და ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის (ბეჭდური

ან ინტერნეტ მედია) საშუალებით, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ვადა, ვაკანსიები, კონკურსის პირობები, საკონტაქტო ინფორმაცია და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

მუხლი 3. აკადემიური პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითადად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობითა და ამ წესით განსაზღვრული აკადემიური ან პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.

მუხლი 5. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

- გ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხედვა და სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:
- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.
3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:
- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხით ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით;
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.
4. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:
- ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან - შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

მუხლი 6. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები:

1. პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე
- ა) საზღვარგარეთ (აშშ ან ევროპის ქვეყნებში) მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ბ) საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება
- გ) საქართველოში ან/და საზღვარგარეთ შესაბამის დარგში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- ე) შესაბამისი დარგის პროგრამის განხორციელების ხედვა.

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი ნიშნით:

ა.ა) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილებით შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ა.ბ) სამეცნიერო-კვლევითი (არანაკლებ 5 პუბლიკაციისა შესაბამის დარგში) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილებით;

ა.გ) საზღვარგარეთ (აშშ და ევროპის ქვეყნებში) პრაქტიკული ან სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

3. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის

ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება - არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება, რაც დაკავშირებულია შესაბამის დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობების დაკავებისა და კონკურსის წესები

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. საკონკურსო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) აკადემიური თანამდებობის ზუსტი დასახელება;

ბ) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები;

გ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;

3. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) რეზიუმე

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული ან კომისიის მოთხოვნით სხვა დოკუმენტები.

მუხლი 8. კონკურსის ეტაპები და მისი შედეგები

1. კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) საბუთების გადარჩევა;

საბუთების გადარჩევით განისაზღვრება იმ პირთა წრე, რომელთა მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სრულყოფილია და შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) გასაუბრება;

მუხლი 9. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - საკონკურსო კომისია), რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, დირექტორის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან.

3. კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტი.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსში მონაწილეობის მსურველის ან კონკურსანტის სტატუსით.

5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3-ი.

6. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

8. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით.

9. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებებში და ოქმებში.
10. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
11. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

მუხლი 10. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია წარუდგინოს სასწავლო უნივერსიტეტს კონკურსით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.
2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საორგანიზაციო კომისია.
3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სისრულე მოწმდება საორგანიზაციო კომისიის მიერ.
4. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ ვადებში, კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ვერ ხერხდება სრულად საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა, შესაძლებელია მას მიეცეს ნაკლები საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის დამატებითი ვადა მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის ამოწურვიდან ორი სამუშაო დღისა.
5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურისა და/ან ვადების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მუხლი 11. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპი

1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა საორგანიზაციო კომისიის მიერ, საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი დღისა დალუქულ მდგომარეობაში, საორგანიზაციო კომისიის წევრების ხელმოწერით.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.
3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადებას, დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
4. საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების ეტაპის დასრულების შემდგომ იღებს წერილობით გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ზეპირ გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ და ამტკიცებს ამ პირთა სიას.

5. კომისია ასევე იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი გასაუბრების განრიგის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გასაუბრების თარიღ/ებ/ს.

6. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, დაამტკიცოს იმ პირთა სია, რომელთაც არ მიენიჭა კონკურსანტის სტატუსი.

7. კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციის ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახით თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია, იმ კონკურსანტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი საკონკურსო დოკუმენტაცია ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაცია არის მოთხოვნილი.

მუხლი 12. გასაუბრება, შეფასების მეორე ეტაპი

1. გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ ადგილას და დროს. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, აკადემიის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აკადემიაში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

2. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის დაშვებულ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტთან გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს.

3. გასაუბრება წარმოადგენს კონკურსანტის შეფასების მეორე ეტაპს.

4. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.

5. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, ამ წესის მე-5. მე-6 მუხლით დადგენილ პირობებთან აუცილებელი შესაბამისობის გარდა, მხედველობაში მიიღება თითოეული კონკურსანტის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

- აკადემიური კვალიფიკაცია
- პედაგოგიური გამოცდილება
- პრაქტიკული გამოცდილება
- სასწ.-მეთოდური გამოცდილება
- ტრენინგები
- სალექციო კურსები, რომელთა წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს
- პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში,
- სხვა პუბლიკაციები (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალში, კონფერენციის მასალათა კრებულში და ა. შ.)
- მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე
- გრანტები / პროექტები
- სადოქტორო / სამაგისტრო კვლევების ხელმძღვანელობა
- პრეზენტაცია (მოთხოვნის შემთხვევაში)

6. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობის განხორციელების შესახებ, რომელიც გამოდგება კონკურსანტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძველად.

8. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

მუხლი 13. კონკურსის მონაწილეთა შეფასება და შედეგები

1 კონკურსს ატარებს და აფასებს სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია, შექმნილი რექტორის წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ.

2. საკონკურსო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას აკადემიური თანამდებობასთან დადგენილი კრიტერიუმების ფარგლებში.

მუხლი 14. გადაწყვეტილების მიღება/გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.

2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კონკურსანტი.

3. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის წესით. ამ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3-ისა. გამარჯვებულად ცხადდება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტს, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ მიიღება კომისიის შემაჯამებელი ოქმით.

6. აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცება და აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე გამოცემული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

7. რექტორის ბრძანება სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის გაფორმება

1. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატს – საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე ნიშნავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება უვადოთ.
3. ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით.
4. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ დოკუმენტაციაში აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) თანამდებობაზე დასანიშნი პირის სახელი და გვარი, აკადემიური ხარისხი;
 - ბ) თანამდებობა, რომელზეც ინიშნება პირი;
 - გ) სამსახურის ვადა (თუ პირი სამსახურში ინიშნება განსაზღვრული ვადით);
 - დ) თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი.
5. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია გააუქმოს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის დოკუმენტი, თუ:
 - ა) აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულმა პირმა უფლებამოსილებთა დაწყებამდე წარმოადგინა შესაბამისი განცხადება;
 - ბ) გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ თანამდებობაზე დანიშვნას.

მუხლი 16. აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები.

1. აფილირება გულისხმობს, სასწავლო უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში:
2. აკადემიური პერსონალი ხელს აწერს ამავე წესის დანართი1-ს, სადაც ადასტურებს მის აფილირებას სასწავლო უნივერსიტეტთან.

მუხლი 17. ჩაშლილი კონკურსი

1. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განაცხადი ან თუ საკონკურსო კომისია უარს განაცხადებს კანდიდატურების წამოყენებაზე.